საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2017 წლის
სამეცნიერო ანგარიში

II. 1. პუბლიკაციები
ა) საქართველოში

მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნანა ხაზარაძე	1.ლუვიური იეროგლიფების სემანტიკური კოდები I 2017 ,რედაქტორი აკად. თ. გამყრელიძე,	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ISBN 978-9941-27-102-1(პირველი წიგნის).	142გვ.,
2	ნანა ხაზარაძე	2.ლუვიური იეროგლიფების სემანტიკური კოდები II 2017, 62გვ.,თანაავტორი ნ. ბახსოლიანი, რედაქტორი აკად. თ. გამყრელიძე,	მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ISBN978-9941-27-103-8(მეორე წიგნის)	62გვ.
3	ნანა ხაზარაძე	აკადემიკოსი გრიგოლ გიორგაძე 90,	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 2017,	42 გვ

1. ჩატარებულმა ძიებებმა ავტორები იმ ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე მიიყვანა, რომ ძველი ანატოლიის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის პირველხარისხოვან წყაროს არა მხოლოდ ძველი ახლო აღმოსავლეთის ვრცელ რეგიონში მრავლად აღმოჩენილი სხვადასხვა ხასიათის ეპიგრაფიკული ძეგლები წრმოადგენს, არამედ თავად ლუვიური იეროგლოფური ნიშნები, რომლებიც უძვირფასეს ინფორმაციას გვაწვდის ძველი ანატოლიის ფიზიკური გეოგრაფიის, ფლორისა და ფაუნის, მემინდვრეობის, მევენახეობა-მებაღეობის,ცხოველთა სამყაროს, არქიტექტურის, ხელოსნობის, შეიარაღების, საზოგადოების სოციალური სტრუქტურისა და ძველანატოლიელთა რწმენა- წარმოდგენების შესახებ.

2.. ეძღვნება ქართული ხეთოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის გრიგოლ გიორგაძის დაბადებიდან 90 წლისთავს.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნანა ხაზარაძე	**„ვარძია ვნახე ლამაზი, თამარის გამოჭრილია, სხვა მონასტრებიც ააგო გაკუთხული და თლილია”**	სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი სვეტიცხოველი N1,.	თბილისი 2017. ISSN: 1987-6874	გვ. 21–22
2	ნანა ხაზარაძე	**სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის კონცეფციადროსა და სივრცეში**	სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი სვეტიცხოველი N2	თბილისი 2017. ISSN: 1987-6875	გვ. 48-56

3	ნანა ხაზარაძე	ქალის სოციალური სტატუსი ძველი ახლო აღმოსავლეთის სამართლის ძეგლების მონაცემთა კონტექსტში	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორია, არქეოლოგია ეთნოლოგია და ხელოვნება, #1,		
4	ნანა ხაზარაძე	ხეთური კანონების ერთი ასპექტისათვის			გვ. 31-34.
5	ნანა ხაზარაძე	ღვთაება თარხუნთი იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი წყაროების მონაცემთა კონტექსტში კლიო – ისტორიის და საგმირო	ღვთაება თარხუნთი იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი წყაროების მონაცემთა კონტექსტში.	იურისტი, №2, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2017, IШ 9772449270009; (რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, თანაავტორობით;)	გვ. 31-34. 133-137გვ.

6	ნანა ხაზარაძე	**ეპოსის მუზა 1914–1918 წლების საქართველოში**	კლიო – ისტორიის და საგმირო ეპოსის მუზა 1914-1918 წლების საქართველოში	ივანე ჯავახიშვილი-140, „მარადისობის გზა“, მეცნიერ-კონსულტანტი:,აკად. რ. მეტრეველი; (რეზიუმე ინგლისურ ენაზე)	გვ. 56-61,
7	ნანა ხაზარაძე	**აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ცხოვრება და მოღვაწეობა 1941–1945 წლებში**			
8	ნანა ხაზარაძე	**ფრანგი არქეოლოგი ქალები**	აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ცხოვრება და მოღვაწეობა 1941-1945 წლებში,	სამეცნიერო შრომების კრებული, 1914- 2014 პირველი და მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია, ნაწილი I, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2017,	გვ. 144-149
			ფრანგი არქეოლოგი ქალები.	სამეცნიერო შრომების კრებული, 1914- 2014 პირველი და მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია, ნაწილი I, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2017,	გვ.37-42

9	ნანა ხაზარაძე	“ხური-მითანური გლიპტიკის სამყაროში”.“აღმოსავლეთმცოდნეობა	. “ხური-მითანური გლიპტიკის სამყაროში”.,	სამეცნიერო სტატიების კრებულში „მსოპლიო და გენდერი“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, 2017 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე. თანაავტორობით;) თსუ-ს გამომცემლობა, 2017	გვ. 19-23.

„ვარძია ვნახე ლამაზი, თამარის გამოჭრილია, სხვა მონასტრებიც ააგო გაკუთხული და თლილია”

ქართული და უცხოური წერილობითი პირველწყაროების, ეპიგრაფიკის ნიმუშების, ქართული ხელნაწერების მონაცემების, ქართული ზეპირსიტყვიერების, ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლებისა და სამეცნიერო კვლევების შედეგების გათვალისწინებით ხაზგასმითაა აღნიშნული საუკუნეების მანძილზე ქართველი ქალის აქტიურობა ეკლესია–მონასტრების აღმშენებლობაში.

ჩატარებულ ძიებათა შედეგად ავტორები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ საქართველოში – ღვთისმშობლის წილხვედრ, ღვთისმშობლის სარტყლის და ღვთისმშობლის კვართის ქვეყანაში, მიუხედავად ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მიმდინარე ურთულესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეთნოკულტურული პროცესებისა, 1811 წელს საქართველოს სამოციქულო

მართმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და XX საუკუნეში არსებული ბოლშევიკური რეჟიმისა, 1921-1924 წლებში ქრისტიანული რელიგიის უსასტიკესი დევნისა, ქართველი ქალის სულიერი სამყარო ქრისტიანული ღირებულებებით იყო აღსავსე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ეს ლოცვა კურთხევით დაარსებული „მორწმუნე ქალთა საზოგადოება“ ღირსეულად აგრძელებს ეკლესია–მონასტრების აღმშენებლობის საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებულ ტრადიციას.

სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის კონცეფცია დროსა და სივრცეში

მოძიებული ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებით დათარიღებული, იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობითა და ენით შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლებისა და XI-XIII საუკუნეებით დათარიღებული ქართული ოფიციალური დოკუმენტური მასალებისა და წერილობითი პირველწყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ გვიანხეთური ხანის ანატოლიაშიც და შუასაუკუნეების საქართველოშიც სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის ტიპოლოგიურად მსგავსი კონცეფციები არსებობდა, იმ განსხვავებით, რომ გვიანხეთური ხანის ანატოლიაში მეფისა და მისი ნამოღვაწარის დამცველად, მხარდამჭერად თარხუნთი და ამ ხანის პანთეონის წარმომადგენლები გვევლინებიან, ხოლო შუასაუკუნეების საქართველოში ამავე მისიას მამა ღმერთი, ძე ღმერთი, სულიწმინდა, ღვთისმშობელი, მოციქულები, წმინდანები, საეკლესიო კრებები, პატრიარქები, სვეტიცხოველი აღასრულებდნენ.

3. ძვ. წ. III ათასწლეულით დათარიღებული ბილალამის, ლიფითიშთარის და ძვ. წ. II ათასწლეულის ხამურაბის კანონების შესწავლას ავტორები იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ამ სამართლებრივ ძეგლებში ქალის უფლებები საკმაოდ დაცული იყო. რაც შეეხება ძვ. წ. II ათასწეულის ხეთურ კანონებს, ავტორები ოდნავ განსხვავებულ ვითარებას ადასტურებენ.

4. ხეთური კანონების შესწავლის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ხეთურ საზოგადოებაში ქალის, (თავისუფალი) ქალის, მხევალის, მსახური (ქალი), ფეხმძიმის, ცოლის, ქვრივის, უფლებების დარღვევის კოეფიციენტი არც თუ ისე მაღალი იყო. და ეს სავსებით კანონზომიერია, თუ გათვალისწინებული იქნება ხეთური საისტორიო წყაროების ის მონაცემები, რომელიც დედოფლის-თავანანას, სამეფო ორბიტაში მოქცეული ქალების და პანთეონში უზენაესი ღვთაებისა და ქალი ქურუმების შშ მაღალ სტატუსს შეეხება.

5. ღვთაება თარხუნთი იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი წყაროების მონაცემთა კონტექსტში

ნაშრომი ეფუძვნება მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელშიც ფაქტობრივად, პირველადაა თავმოყრილი გვიანხეთურ სამყაროში (ძვ. წ. IX-VIIIს.) ღვთაება თარხუნთთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების შესახებ. გარკვეულია, რომ უზენაესი ღვთაების როლს თარხუნთი თამაშობდა. იგი ორგანულად იყო დაკავშირებული ოფიციალურ იდეოლოგიასთან, კერძოდ, მეფისა და სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის ძველ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებულ კონცეფციასთან. Iსიცაა ხაზგასმული, რომ უზენაესი ღვთაება ცასთან იყო ასოცირებული (`ღვთაება თარხუნთის ცისა", `ცის ღვთაება თარხუნთი"). ამასთანავე, მას მძლეველის, დამცველისა და ნაყოფიერების მიმნიჭებლის (`ღვთაება თარხუნთი ვენახისა") ფუნქციებიც ეკუტვნოდა.

6. კლიო – ისტორიის და საგმირო ეპოსის მუზა 1914–1918 წლების საქართველოში

სტატიაში ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ I მსოფლიო ომის საშინელებათა მიუხედავად, კლიო - ისტორიისა და საგმირო ეპოსის მუზა საქართველოში არც სდუმდა და არც სთვლემდა. პირიქით, დიდი ივანე ჯავახიშვილისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა დაუღალავი, თავგანწირული შრომის შედეგად, საფუძველი ჩაეყარა ახალ ქართულ საისტორიო მეცნიერებას, რომელმაც ასწლოვანი გზა ღირსეულად განვლო და მომავალი განვითარების პერსპექტივებიც გააჩინა.

7. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ცხოვრება და მოღვაწეობა 1941–1945 წლებში

მოძიებული და შესწავლილი წყაროების განზოგადების საფუძველზე ავტორები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მიუხედავად II მსოფლიო ომის შედეგად გაღებული უდიდესი მსხვერპლისა, უმძიმესი ეკონომიკური პირობებისა და ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარებისა, საქართველოში საისტორიო მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის განვითარება 1941-1945 წლებში არ შეწყვეტილა. საკვლევი საკითხი აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მაგალითზეა შესწავლილი. განსაკუთრებული ყურადღება ივანე ჯავახიშვილის, ნიკოლოზ ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას ავტორობით, სიმონ ჯანაშიას რედაქტორობით 1943 წელს შექმნილ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს, რომელიც, ფაქტობრივად, პირველად გამოქვეყნდა ეთმობა, ასევე აკად. სიმონ ჯანაშიას მიერ ომის წლებში შემუშავებულ საქართველოს

ისტორიის სასწავლო პროგრამებს.

8.ფრანგი არქეოლოგი ქალები

სტატიაში, ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში პირველადაა წარმოდგენილი ფრანგი არქეოლოგი ქალების მიერ ჩატარებული არქეოლოგიურ კვლევა - ძიებათა შედეგები.აღნიშნულია, რომ საფრანგეთის არქეოლოგიის ისტორიის საწყის ეტაპებზე, არქეოლოგი ქალების სახელები არ დასტურდება, ხოლო XX საუკუნიდან დღემდე ისინი აქტიურად არიან ჩართული საფრანგეთსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე არქეოლოგიურ კვლევა - ძიებებში, რაც ფართოდაა ასახული საფრანგეთსა და მის ფარგლებს გარეთ გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან მონოგრაფიებსა და სტატიებში.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნანა ხაზარაძე	საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია და ქართველი ქალი., სამეცნიერო კონფერენცია "საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავი".	თბილისი, 2017 წლის 28 მარტი. სტუ

2	ნანა ხაზარაძე	ფელიქს ფაბერი (1441-1502) და ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინები., საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში”,	2017 წლის 6 -8 ივნისი. საბაუნი.
3	ნანა ხაზარაძე	აკადემიკოსი თ. ყაუხჩიშვილი და საქართველოს ბერძნული ეპიგრაფიკა. VI საერთაშორისო სიმპოზიუმი “საქართველოს ევროპული არჩევანი”, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის 180-ე წლისთავისადმი.	სტუ
4	ნანა ხაზარაძე	ფრანგი არქეოლოგი ქალები. საერთაშორისო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი“	თბილისი, 2017, 16 ნოემბერი. სტუ. (თანაავტორთან ერთად).
5	ნანა ხაზარაძე	სამეფო ხელისუფლების	

		ღვთაებრივი წარმომავლობის კონცეფციის ისტორიისათვის. ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“.	თბილისი, 2017. 25 ნოემბერი; სტუ.

II. 1. პუბლიკაციები

ა) საქართველოში

მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დ. ცუცქირიძე	კონფლიქტი პოლიტიკურ პროცესებში (საქართველოს მაგალითზე)	უნივერსალი, თბილისი, 2017	159 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ისტორიულ-პოლიტიკური პროცესები - კონფლიქტები და ომები კაცობრიობის მუდმივი თანამდევი და იმავდროულად მისი განვითარებისთვის საფრთხის შემქმნელი ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია. ქვეყნების ისტორია კონფრონტაციებისა და დაპირისპირებების ფონზე მიმდინარეობს. ნაშრომში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოვყავით სამ სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე საქართველოს ძველ, შუასაუკუნეების და უახლეს ისტორიაში მიმდინარე კონფლიქტები. (1. ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა, ფარნავაზისა და აზოს დაპირისპირება; XII ს. მეფე თამარისა და დიდგვაროვანთა დაპირისპირება; XX ს, 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვრის დაპირისპირება ლეგიტიმურ ხელისუფლებასა და ოპოზიციურად განწყობილ პარტიებსა და დაჯგუფებებს შორის) ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით შევე-ცადეთ მათ შორის ტიპოლოგიური მსგავსება-განსხვავებების დადგენას. პრობლემის ნათელსაყოფად ტრადიციული ისტორიულ-შედარე-ბითი მეთოდი, სისტემური კვლევის მეთოდი და სხვადასხვა მიდგომები შევარჩიეთ. გავაანალიზეთ ისტორიის ძირითადი მახიასიათებლები (შემთხვევითობის, დროის, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები), ძალაუფლება როგორც ისტორიული პროცესის ერთ-ერთი ფაქტორი. გაანალიზებულია ეპოქებისთვის დამახასიათებელი ზოგადი ტენდენციები, მათი გამომწვევი მიზეზები და შედეგები, კონფლიქტში მონაწილე სუბიექტები, კონფლიქტის ობიექტი, აგრეთვე ის შიდა და საგარეო ფაქტორები, რომლებმაც კონფლიქტის მსვლელობაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია. გამოკვეთილია, პიროვნების სუბიექტური თვისებების მნიშვნელობა კონფლიქტის მსვლელობის თვალსაზრისით, ძალაუფლების მოსაპოვებლად წარმოებული ბრძოლის ძირითადი მიზეზები და მიზნები, კონფლიქტში სუბიექტების ქცევის სტრატეგია და ტაქტიკა; გაანალიზებულია მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა სისტემებ-ზე ორიენტირებული მოტივაციით განპირობებული ქმედებები და მათი შედეგები. შესწავლილია, როგორც ზოგადი ტენდენციები, ასევე ყველა ის ძირითადი ასპექტი, რომელმაც მოვლენათა

ესკალაციას დაუდო სათავე. შესწავლილია ძალაუფლებისკენ სწრაფვის მოტივები და მიზნები და სუბიექტთა შორის არსებული ძირითადი ურთიერთმიმართებები.

კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები შედარებულია ტიპოლოგიურად, მიღებული შედე-გები შეჯერებული და შეჯამებულია. ნაშრომის ბოლოს კი მოცემულია - კვლევის შედეგად მიღებული

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დარეჯან ცუცქირიძე	ისტორიის მნიშვნელობა აწმყოსა და მომავლისათვის, ივანე ჯავახიშვილი-140, შრომები, „მარადისობის გზა		საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი თბილისი, 2017	გვ. 105-107
2.	დარეჯან ცუცქირიძე	ლიდერის დადებითი პიროვნული თვისებების გავლენა სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე (საქართველოს ისტორიის მაგალითზე). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები	1 (20)	უნივერსალი, თბილისი, 2017	გვ. 289-29
3.	დარეჯან ცუცქირიძე (თანაავტორი ხათუნა ჩაფიჩაძე)	რუსეთისა და გერმანიის I მსოფლიო ომის წინაპერიოდის შეიარაღების შედარებითი ანალიზი რიჩარდსონის მოდელის საფუძველზე. პირველი და მეორე მსოფლიო ომი და	საერთაშორისო სიმპოზიუმების სამეცნიერო შრომების კრებული	თბილისი, 2017	გვ.77-82

		სამხრეთ კავკასია.			
4.	დარეჯან ცუცქირიძე (თანაავტორი ნინო პეტრიაშვილი	პარიზის აკორდი-კლიმატის დიპლომატიის ტრიუმფი და რეალობა, საქართველოს დიპლომატია, წელიწდეული.			
	დარეჯან ცუცქირიძე (თანაავტორი ნინო პეტრიაშვილი	ტრანსფორმაციული ლიდერობა და ტანდემი - დავით აღმაშენებელი დ		არტანუჯი, თბილისი, 2017	გადაცემულია წარმოებაში
5	დარეჯან ცუცქირიძე (თანაავტორი ნინო პეტრიაშვილი	ტრანსფორმაციული ლიდერობა და ტანდემი - დავით აღმაშენებელი და გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ყოველკვარტლური საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ბიზნეს ინჟინერინგი.		საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს საინჟინრო აკადემია , თბილისი, 2017	გადაცემულია წარმოებაში

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში განხილულია ისტორიის მნიშვნელობა, რამდენად საჭიროა საზოგადოებისთვის იმის გაცნობიერება, რომ ისტორია არა მხოლოდ გარდასულ ამბავთა თხრობაა“ არამედ იგი ასახავს სოციალური და პოლიტიკური პროცესების ძირითად ფაქტორებს და წარმოადგენს მომავლის მყარ საფუძველს. ისტორია და მისი შესწავლა ხელს უწყობს ცვლილებების გააზრებასა და იდენტობის შენარჩუნებას, მოქალაქეებად ფორმირებას, ღირებულებების შექმნას და ა.შ. განსაკუთრებული როლი კი ენიჭებათ ისტორიკოსებს, რომელნიც ისტორიის მსახურნი და ამგვარად საზოგადოების მსახურნიც არიან.
2. ლიდერის როლის მნიშვნელობის გააზრება თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. განმსაზღვრელი ადგილი კი ლიდერის პირივნული თვისებების მნიშვნელობასა და როლს ენიჭება. აღნიშნულის დასადასტურებლად, სტატიაში შევისწავლეთ და გავაანალიზეთ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მოღვაწე ლიდერების მეფე ფარნავაზის, გრიგოლ ხანძთელისა და მეფე თამარის პიროვნული თვისებები. საკვლევი თემის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამივე შემთხვევაში, სწორედ მათმა პიროვნულმა თვისებებმა ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების წარმართვა ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ განაპირობა. 1. პირველ შემთხვევაში ფარნავაზის თაოსნობით შეიქმნა ქართული სახელმწიფო. 2. მეორე შემთხვევაში გრიგოლ ხანძთელმა საფუძველი ჩაუყარა

არა მხოლოდ სამონასტრო ცხოვრებასა და მის აღმავლობას, არამედ ჩვენი აზრით, მომავალი ერთიანი საქართველოს იდეას; 3. თამარის თაოსნობით კი შენარჩუნდა ერთიანი, ძლიერი სახელმწიფო. უდავოა, რომ სოციალურ-პოლიტიკური პროცესების შეფასებისას არ უნდა უგუვებელყოთ ლიდერის პიროვნული თვისებები, და მათი განმსაზღვრელი როლი.

3. შერჩეული თემის აქტუალობა თანამედროვე სამყაროში კონფლიქტების სიმრავლითაა განპირობებული. კონფლიქტების დარეგულირებისა და მოგვარების საშუალებების სიმრავლის მიუხედავად, შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა კონფლიქტების პროგნოზირებას. ავტორებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ქართულ სამეცნიერო წრეებში დაინერგოს და ფართოდ გავრცელდეს კვლევის ისეთი მეთოდები, რომლებიც კონფლიქტების პრევენციას პროგნოზირების საფუძველზე შეუწყობს ხელს. აღნიშნულ მეთოდოლოგიას შესაბამისი პრაქტიკული დანიშნულება ექნება. კერძოდ, შესაძლებელი გახდება: ლატენტური კონფლიქტების დროული გამოვლენა; გამოვლენილი, მაგრამ ,,გაყინული“ და ღია კონფლიქტების ეფექტური მოგვარება; კონფლიქტების შემდგომი გამწვავებისა და დაპირისპირების ახალ ფაზაში შესვლის თავიდან აცილება.. ამ მიზნით, ავტორებმა შეისწავლეს სოციალურ მეცნიერებებში, კერძოდ, პოლიტიკის მეცნიერებასა და კონფლიქტების კვლევებში არსებული სხვადასხვა კვლევითი მეთოდები და ყურადღება „რიჩარდსონის მოდელზე“ შეაჩერეს. მათ მიზნად დაისახეს რიჩარდსონის მოდელის სისწორის დადასტურება - ქართულ სივრცეში მისი დამკვიდრების თვალსაზრისით. საილუსტრაციოდ კი ურთიერთდაპირისპირებული ბანაკებიდან პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ორი სუბიექტი-სახელმწიფო, კერძოდ, რუსეთი და გერმანია შეარჩიეს და რიჩარდსონის მოდელის ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, აღნიშნული სუბიექტების I მსოფლიო ომის წინა პერიოდის (1900-1913 წლების) შეიარაღების შედარებითი ანალიზი ჩაატარეს. კვლევამ დაადასტურა რიჩარდსონის მოდელის სისწორე და ავტორთა მიზანი ეჩვენებინათ რიჩარდსონის მოდელის პრაქტუკული მნიშვნელობა და ღირებულება კონფლიქტის პროგნოზირებისა და პრევენციის თვალსაზრისით ნაშრომში დადასტურდა. ავტორები იმედოვნებენ, რომ კონფლიქტების კვლევა აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით ქართულ სივრცეშიც დამკვიდრდება.
4. კლიმატის ცვლილება თანამედროვე პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი საკითხია. სახელმწიფოთა მეთაურების არაერთგზისი მცდელობის მიუხედავად, მიიღონ გადამჭრელი ზომები ბუნებრივი კატასტროფების თავიდან ასაცილებლად, რეალური შედეგების მიღწევა დიდ წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, ეს საკითხი დღეს მსოფლიო დიპლომატიური საზოგადოების უმნიშვნელოვანეს განსჯის საგანს წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ მსოფლიო ლიდერთა ძალისხმევა კლიმატის ცვლილების დარეგულირების კუთხით ეჭვს არ იწვევს, ასევე ნათელია, რომ მსოფლიო საზოგადოების, თოთოეული მოქალაქის მხარდაჭერისა და მონაწილეობის გარეშე ძნელი იქნება ე.წ. კლიმატის მსოფლხედველობის შეცვლა. თოთოეული ქვეყნის თითეულმა მოქალაქემ უნდა გააცნობიეროს, რომ კლიმატის ცვლილების პრობლემა ზოგადსაკაცობრიო საკითხია. სტატიაში განსაკუთრებული განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია “პარიზის აკორდიზე“.პარიზის შეთანხმებას მსოფლიო საზოგადოება იმედით უყურებს, მაგრამ ამავდროულად აკვირდება და აინტერესებს თუ როგორ დაინერგება ხელშეკრულებით გათვალისიწინებული პირობები. საუბარია „პარიზის აკორდის“მნიშვნელობაზე მსოფლიო საზოგადოებისათვის, რომლის ვერ განხორციელების შემთხვევშიც ეს არ იქნება მომდევნო ხელშეკრულების ფიასკო, არამედ უფრო დიდი მნიშვნელობის დანაკარგი, რომელსაც მსოფლიო კლიმატის ცვლილების ექსტრემალური პირობების დადგომადე განიცდის.

5. სტატია ეხება ტრანსფორმაციული ლიდერობის საკითხებს XI-XII საუკუნეების მიჯნის საქართველოში. ავტორები ითვალისწინებენ შუა საუკუნეების საქართველოში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებს, ასევე ტრანსფორმაციული ლიდერობის თეორიულ ასპექტებს და ასკვნიან რომ დავით IV აღმაშენებლის მმართველობის დროს ლიდერობის

ფორმა ტრანსფორმაციული იყო. ავტორები გვთავაზობენ მეტად თამამ მიდგომას საკითხისადმი და გვირჩევენ რომ დავით IV აღმაშენებლის ლიდერობა განვიხილოთ გიორგი მწიგონობართუხესთან ტანდემის კუთხით. ავტორები ავლენენ ტანდემური მუშაობის გადამწყვეტ როლს რეფორმებისა და ფუნდამენტური ცვლილების განხორციელებისათვის, რამაც საქართვლოს სახელმწიფო განვითარება და წარმატება განაპირობა. საკუთრივ მაგალითი საინტერესოა, რამდენადაც, ტრანსფორმაციული ლიდერობის თიქმის ყველა თვისება აღინიშნება: დიადი მიზანი, პროგრესისკენ სწრაფვა, ორიენტირება გრძელვადიან პრესპექტივაზე, მორალურ-ეთიკური კომპონენტი, პიროვნული თვისებების როლი, ტანდემური მუშაობა, ახალი პოზიციებისა და ახალი ინსტიტუტების შექმნა, ფუნქციების განაწილება. ავტორები ასკვნიან რომ დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებას გადამწყვეტი ნიშვნელობა აქვს და აუცილებელია დღევანდელ გლობალიზებულ და სხვადასხვა ხასიათის კატაკლიზმებით აღსავსე სამყაროში არსებული რთული პროცესების სტრატეგიების წარსამართად.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დარეჯან ცუცქირიძე (თანამომხსენებელი ლიზა ამილახვარი)	ნდობის ფაქტორის მნიშვნელობა სამოქალაქო საზოგადოებისათვის	VI საერთაშრისო სამეცნიერო კონფერენცია მსოფლიო და კავკასია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2017, 9 ივნისი.

II. 1. პუბლიკაციები

ა) საქართველოში

მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლამარა ასლამაზიშვილი	ქართველი ქალები ფაშიზმის წინააღმდეგ	გამომცემლობა უნივერსალი, 2005 წ.	107
2	ლამარა ასლამაზიშვილი	მცხეთა და მისი ჰინტერლანდი	გამომცემლობა უნივერსალი, 2005 წ. ISBN 9940–32-–93–3	80

3	ლამარა ასლამაზიშვილი	საქართველოს სოციალ-პოლიტიკური განვითარება XV – XVII სს-ში,	გამომცემლობა უნივერსალი	100
4	ლამარა ასლამაზიშვილი	ქართველ ქალთა მდგომარეობა (1991–2004 წწ)	გამომცემლობა უნივერსალი 2009 წ.	80
5	ლამარა ასლამაზიშვილი	ქალთა უფლებები და საერთაშორისო ორგანიზაციები	გამომცემლობა უნივერსალი 2009 წ.	60
6	ლამარა ასლამაზიშვილი	ქართველი ქალები საზოგადოებრივი პოლიტიკის ასპარეზზე, 1900–1940 წ.,	გამომცემლობა უნივერსალი, 2010, ISB 978–9941–11–791–20.	25
7	ლამარა ასლამაზიშვილი	ძალადობა ქალების წინააღმდეგ	გამომცემლობა უნივერსალი, 2011 წ. ISBN 978 -9941-17-420-9	58
8	ლამარა ასლამაზიშვილი	ქალები მშვიდობისა და პოლიტიკის სფეროში	გამომცემლობა უნივერსალი, 2012 წ. ISBN 978-9941-17-742-2	60
9	ლამარა ასლამაზიშვილი	ქალის უფლებები ქორწინების და განქორწინების შემდეგ XV ს. საქართველოში	გამომცემლობა უნივერსალი, 2016 წ. ISBN 9941-22-7-25-7	83
10	ლამარა ასლამაზიშვილი	სარწმუნოების და მრწამსის პრობლემა ადრეფეოდალური ხანის ქართულ მწერლობაში, 2016 წ.	გამომცემლობა უნივერსალი, ISBN 978-9941-20-7210	80
11	ლამარა ასლამაზიშვილი	ქორწინება, განქორწინება,	თბილისი. 2017 გამომცემლობა „უნივერსალი“	46

		მემკვიდრეობა პანკისელ ქისტებში	ISBN 978-9941-26-021-6	

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **ქართველი ქალები ფაშიზმის წინააღმდეგ**

ნაშრომში ნაჩვენებია ქართველი ქალების უმაგალითო შრომა ომის ხაზზე და ზურგშიც.

2. **მცხეთა და მისი ჰინტერლანდი**

ნაშრომში წყაროებზე დაყრდნობით აღწერილია სოფლები, ახალი განაშენიანება მცხეთის რაიონის მიდამოებში.

3. **საქართველოს სოციალ-პოლიტიკური განვითარება XV – XVII სს-ში**

დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ნაჩვენებია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური განვითარება სოფლად და ქალაქად

4. **ქართველ ქალთა მდგომარეობა (1991–2004 წწ)**

ნაშრომში აღწერილია ქალების გადინების პროცესი ქვეყნიდან ოჯახის რჩენის მიზნით.

5. **ქალთა უფლებები და საერთაშორისო ორგანიზაციები**

ნაშრომში ნაჩვენებია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ოჯახში ქალთა უფლებების დასაცავად.

6. **ქართველი ქალები საზოგადოებრივი პოლიტიკის ასპარეზზე, 1900–1940 წ.**

ნაშრომში მდიდარი საარქივო დოკუმენტური წყაროების პერიოდიკის საფუძველზე შესწავლილია ქართველის ქალების როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

7. **ძალადობა ქალების წინააღმდეგ**

ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა საერთაშორისო ორგანიზაციების მიღებული კანონების გათვალისწინებით დაუშვებელია ძალადობა და ისჯება ძალიან მკაცრად.

8. **ქალები მშვიდობისა და პოლიტიკის სფეროში**

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია XX საუკუნის ბოლოს მშვიდობისა და პოლიტიკის სფეროში ქალების აქტიურობის მნიშვნელობაზე.

9. **ქალის უფლებები ქორწინების და განქორწინების შემდეგ XV ს. საქართველოში**

ნაშრომის მიზანია ნაჩვენები იქნას ქალის ქორწინების და განქორწინების შემდეგ მათი ცხოვრების ეტაპობრივი სურათი

10. **სარწმუნოების და მრწამსის პრობლემა ადრეფეოდალური ხანის ქართულ მწერლობაში, 2016 წ.**

ქრისტიანობას და სარწმუნოებას ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ ნაშრომში ნაჩვენებია ქრისტიანობის დამყარების რთული გზა საქართველოში

11. ქორწინება, განქორწინება, მემკვიდრეობა პანკისელ ქისტებში. ნაშრომში აღწერილია ქისტების ყოფა-ცხოვრება, წეს-ჩვეულებები.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლამარა ასლამაზიშვილი	ქართული ემიგრაციის ისტორიიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში	2015 წ. გამომცემლობა „უნივერსალი“ ISBN 978-9941-22-525-3	100
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ნაშრომში ნაჩვენებია 1917 წლიდან საქართველოდან გაქცეული სამხედრო პირების ცხოვრება სხვადასხვა ქვეყანაში				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლამარა ასლამაზიშვილი	„გათხოვება, მემკვიდრეობა ქისტებში“	ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ISBN 978-9941-22-806-3	თბილისი	2

2	ლამარა ასლამაზიშვილი	„მიცვალებულის დაკრძალვის ადათ-წესები პანკისელ ქისტებში“	ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“.	თბილისი	2
3	ლამარა ასლამაზიშვილი	„ივ. ჯავახიშვილი და სამართლის ისტორია“	ივ. ჯავახიშვილის 140 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. სტუ	თბილისი	4

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **„გათხოვება, მემკვიდრეობა ქისტებში“**
   ნაშრომში ნაჩვენებია ქისტებში ქალის და კაცის დაოჯახების ადათ-წესები.
2. **„მიცვალებულის დაკრძალვის ადათ-წესები პანკისელ ქისტებში“**
   ყველა კუთხეს მიცვალების დაკრძალვის თავისი ადათ-წესი გააჩნია. ეს ნაშრომი ეძღვნება პანკისელ ქისტებში მიცვალებულის დაკრძალვის თავისებურებას.

II. 1. პუბლიკაციები
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია ქუთათელაძე	თვითმხილველის პოზიციიდან დანახული I მსოფლიო ომი, ,,პირველი და მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ		სტუ, თბ., 2017	**გვ. 100-104**

		კავკასია“, საერთაშორისო სიმპოზიუმების სამეცნიერო შრომების კრებული			
2	მაია ქუთათელაძე	II ფრონტის თემა ,,დიდი სამეულის შეხვედრებისას“, ,,პირველი და მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია“, საერთაშორისო სიმპოზიუმების სამეცნიერო შრომების კრებული		სტუ, თბ., 2017	**გვ. 165-169**
3	მაია ქუთათელაძე	ივანე ჯავახიშვილი და ქართული არქეოლოგია, ,,ივანე ჯავახიშვილი – 140, მარადისობის გზა“, შრომები		საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბ.,2017	**გვ. 38-44**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თვითმხილველის პოზიციიდან დანახული I მსოფლიო ომი

სამეცნიერო მოხსენების მიზანია ვაჩვენოთ რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გავლენა I მსოფლიო ომის აღმოსავლეთ ფრონტზე განვითარებულ მოვლენებსა და მის საბოლოო შედეგზე. აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში პირველწყაროდ გამოვიყენეთ I მსოფლიო ომის მონაწილის პორუჩიკ ალექსანდრე ქუთათელაძის პირად არქივში შემონახული ჩანაწერები.

მსოფლიო ომი დიდი გამოწვევა აღმოჩნდა რუსეთის იმპერიისათვის, როგორც პოლიტიკური სიმწიფის, ასევე სახელმწიფოებრივი სიმტკიცის თვალსაზრისით. ომის პირველი დღეებიდანვე ნათელი გახდა, რომ დაძაბულმა ომმა დამღუპველი შედეგი გამოიღო პეტრეს ეპოქაში მიღწეულ შედეგზე. კონკრეტულად, დასავლურ ფასეულობებზე ორიენტირებული საზოგადოების მსოფლმხედველობაზე, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული დასავლეთ ევროპასთან იდეურად, მატერიალურად და მორალურად. მსოფლიო ომი სრული კრახით დასრულდა უზარმაზარი არაორგანიზებული ქვეყნისთვის, რომელიც ცუდი კომუნიკაციებით, ნაკლებადგანვითარებული ინდუსტრიით, მრავალეთნიკურობითა და არარუსულ რეგიონებში არსებული ეროვნული დამოუკიდებლობის მუხტით ხასიათდებოდა.

II ფრონტის თემა ,,დიდი სამეულის“ შეხვედრებისას

გადაწყვეტილება მეორე ფრონტის გახსნის დროისა და ადგილის შესახებ, აღმოჩნდა მსოფლიო ომის ის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელმაც პრაქტიკულად განსაზღვრა

ცენტრალური ევროპის ქვეყნების მომავალი, მათი პოლიტიკური რეჟიმები და შეცვალა ომისშემდგომი ევროპის პოლიტიკური რუკა.

აღნიშნულ საკითხებზე ბრიტანული და საბჭოთა დიპლომატიის ინტერესთა წინააღმდეგობრივი დაპირისპირება, მოლაპარაკებების დროს კულუარებში განვითარებული პროცესები, ჩერჩილის მცდელობა დარწმუნებინათ აშშ-ს ლიდერი საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო გათვლების სისწორეში, ნათლად გამოიკვეთა თეირანის კონფერენციის მსვლელობისას. „დიდი სამეულის" პირველ კონფერენციას წინ უძღოდა რუზველტისა და ჩერჩილის იმავე წლის კვებეკისა და კაიროს შეხვედრები, სადაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი შეეცადა ამერიკელი კოლეგა თავისი ბალკანური პროექტის უპირატესობაში დაერწმუნებინა და თეირანიის კონფერენციის წინ მისი მხარდაჭერა მოეპოვებინა.

მეორე მსოფლიო ომის სწორედ ამ საკვანძო პრობლემას ეძღვნება მოხსენება.

ივანე ჯავახიშვილი და ქართული არქეოლოგია

ივანე ჯავახიშვილმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული საისტორიო მეცნიერების აღორძინების საქმეში. მისი მოღვაწეობით იწყება სრულიად ახალი ეტაპი ქართველოლოგიური მეცნიერებების, მათ შორის ისტორიისა და ისტორიის მომიჯნავე სხვა დარგების განვითარებაში. გამორჩეულია მისი ღვაწლი ქართულის არქეოლოგიური მეცნიერების შემდგომი წინსვლის, მისი პოპულარიზაციისა და ახალი სამეცნიერო კადრების მომზადების საკითხებში.

1938 წლიდან ივანე ჯავახიშვილი მცხეთის ტერიტორიაზე დაწყებულ სისტემატიური ხასიათის გათხრებს ხელმძღვანელობდა. მცხეთის არქეოლოგიური გათხრები უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი აღმოჩნდა არა მარტო დარგის სპეციალისტებისათვის, არამედ ეს გახდა საუკეთესო საშუალება არქეოლოგიური მეცნიერების პროპაგანდისთვის, ახალი სამეცნიერო კადრების მოზიდვისათვის.

განსაკუთრებულია მისი როლი ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლების კვლევის საქმეში. ახალმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა დიდად შეუწყო ხელი ფეოდალური ხანის ქალაქების, სოფლების, საწარმოო კერათა, საქალაქო ხელოსნობის, კულტურის, ვაჭრობა-გაცვლა-გამოცვლის, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისა თუ სხვა პრობლემების შესწავლას, რითაც თვალსაჩინოდ შეავსო საისტორიო-წერილობით წყაროთა მონაცემები.

ივანე ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ღვაწლი დასდო საქართველოში სამუზეუმო საქმიანობის შემდგომ განვითარებას. მისი ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ისტორიული პროცესების ნივთიერი კულტურის ძეგლებით ჩვენების ტრადიციას. სახელმწიფო მუზეუმმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ქვეყანაში არქეოლოგთა კადრების მომზადების მხრივაც, რადგან სწორედ ეს იყო პირველი დაწესებულება, სადაც წარმოებდა მეცნიერული კვლევა-ძიებანი არქეოლოგიის დარგში და შესაბამისად, მზადდებოდა სპეციალისტთა ახალგაზრდა თაობა.

ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შეიქმნა ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია, რომელსაც მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვართა დამუშავება-კონსერვაცია და ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა დაევალა. ამით დაიწყო არსებითად ახალი საფეხური ქართულ არქეოლოგიაში, როდესაც პრაქტიკულად დაინერგა ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მაია ქუთათელაძე	ქალკედონის საეკლესიო კრება და ქართლის ეკლესიის	VI საერთაშორისო სიმპოზიუმი

		არჩევანი	,,საქართველოს ევროპული არჩევანი", თბ., 23-24 ივნისი,
2	მაია ქუთათელაძე	ქართული წარმართული პანთეონის კვლევისათვის	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები", თბ., 18-21 ოქტომბერი, 2017 წ. 2017 წ.
3	მაია ქუთათელაძე	ქალი ჯუანშერის თხზულებიდან - დედოფალი საგდუხტი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,მსოფლიო და გენდერი - 4", თბ., 16 ნოემბერი, 2017 წ.
4	მაია ქუთათელაძე	ერთი ეპიზოდი ქართულ-სასანიდური ურთიერთობის ისტორიიდან	მე-11 ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,ხელისუფლება და საზოგადოება" - 2017, თბ., 25 ნოემბერი, 2017 წ.

II. 1. პუბლიკაციები
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მანანა აბუთიძე**	**ბესარიონ კათალიკოსის გამოსახულება მისივე ფსალმუნიდან, ივანე ჯავახიშვილის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული**		**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**	4
2	**მანანა აბუთიძე**	**საქართველოს უადრესი ეკლესიები, სვეტიცხოველი**	**№1**	**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	4
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

ბესარიონ კათალიკოსის გამოსახულება მისივე ფსალმუნიდან

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის დავითნის (№263) სამ მინიატურაზე კომპოზიციის პერსონაჟებს შორის, სავარაუდოდ, წიგნის ქტიტორის, ბესარიონ აფხაზ-იმერთა კათალიკოსის გამოსახულებაცაა ჩართული, რაც ექსპონატს შუა საუკუნეების ქართულად გადაწერილ დასურათებულ ფსალმუნთა შორის გამოარჩევს.

მიუხედავად იმისა, რომ ბესარიონის გამოსახულების არსებობას ქუთაისის მუზეუმის კოდექსში ალექსი ბაქრაძეც, ფსალმუნის გრაფიკული ასლის ავტორიც ვარაუდობს, ვფიქრობთ, თვალსაზრისის გამოთქმისას სიფრთხილე მაინც გვმართებს, რადგან დამათარიღებელი მინაწერების თუ ანდერძების გარდა, ქართულად გადაწერილი სხვა ილუსტრირებული ფსალმუნები შემკვეთის ორ და სამ კი არა, ერთ გამოსახულებასაც არ შეიცავს: მაგალითად, მინაწერის მიხედვით თეთროსნის მონასტრის დავითნის(H75) მომგებელნი XVI საუკუნეში მცხოვრებნი ათაბაგის ასული თამარ და ძე მისი ქაიხოსრო გურიელი არიან; ხელოვნების მუზეუმის დავითნის (ი.182) ანდერძში დედოფალ ელისაბედისა და მისი ძის, ანტონის, სახელებს ვკითხულობთ, ჯრუჭის კოდექსის (H1665)მინაწერებში _დედოფალ [ხათ]უნისას, მეფე გიორგისას და ა.შ.მაგრამ ვერსად ვხედავთ შემკვეთთა ხატებს.ასე, რომ, ამ თვალსაზრისით, ქუთაისის მუზეუმის დავითნი შუა საუკუნეების ქართულ დასურათებულ ხელნაწერებს შორის, მართლაც, უნიკალურია, თუმცა არც მთლად უპრეცედენტო: ვგულისხმობთ, მართალია, არა ფსალმუნთა წიგნს, არამედ _ ვეფხისტყაოსნის დადიანისეულ ნუსხას, რომლის ილუსტრაციებში ჩართულია ნაწარმოების ავტორის, წიგნის ქტიტორის, ასევე, გადამწერის და მხატვრის მამუკა მდივნის (თავაქარაშვილის) გამოსახულებები.

საქართველოს უადრესი ეკლესიები

ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ძეგლებს, ისე, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უდიდეს ნაწილს, ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუშები წარმოადგენს.

ეკლესიების რეგლამენტირებული არქიტექტურული თემების და გარეგნული ფორმების შესახებ ცნობების „ცენტრალიზებულად“ გავრცელებაზე არაერთ ქართულ თუ უცხოურ მატიანეშია ლაპარაკი. ვგულისხმობთ ამბავს ეკლესიის ასაგებად მირიანის მიერ საბერძნეთიდან კირითხუროების მოწვევის, ანდა, ასურელი განმანათლებლის მიერ ქრისტიანული ტაძრის გამოსახულების დაზუსტების თაობაზე, ასევე, აღთქმის კიდობნის პარამეტრების პროპორციულობის კოეფიციენტის შენარჩუნების რეკომენდაციას საეკლესიო ნაგებობების ზომებში და ა.შ.

ბუნებრივია, რომ პირველი ტაძრები ყოველთვის გადაკეთების, რესტავრაციის, ახლადაშენების ობიექტები არიან და უპირატესად ავთენტიკური ვარიანტი შენობისა იმ შემთხვევაში უძლებს საუკუნეებს, როდესაც ის, არ დაზიანებულა, მთლიანად ან ნაწილობრივ არ დანგრეულა თუ დაუნგრევიათ. ამგვარ თავიდან აშენების კამპანიებს, ბუნებრივია, ახლდა ახალი ეპოქის სტილისათვის შესაფერი არქიტექტურული კომპოზიციით ძველის ჩანაცვლება და გადაფარვა.

უკანასკნელი წლების არქეოლოგიურმა მონაპოვარმა - ძველმაბაგრატმა, ძველმა სვეტიცხოვლმა, ბოლნისის სიონმა, ძველმა სამთავრომ, ნაგზაურის, ნოქალაქევის თუ

პეტრას კომპლექსებმა -ზოგადქრისტიანული ტენდენციების ლოგიკური არსებობა ცალსახად დაადასტურა ქართულ უადრეს ეკლესიებში, ხოლო ჭაბუკაურის და დოლოჭოპის ბაზილიკების შესწავლამ ცხადყო, რომ საქართველოში, რომაული ტრადიციის კვალად, გრძივ ღერძზე ორიენტირებული დიდი ზომის არქიტექტურული კომპოზიციები ხის გადახურვით, მეოთხე საუკუნიდან იგება, ზუსტად, ისე, როგორც დასავლეთის თუ აღმოსავლეთის იმდროინდელ ქრისტიანულ ცენტრებში.

II. 1. პუბლიკაციები
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარინე მესხია	XVI-XVII სს. თბილისის უმაღლეს ხელისუფალთან დაკავშირებული ტერმინოლოგიისათვის(მოურავი, ტარუღა, ამირა) ივ. ჯავახიშვილი-140, შრომები, მარადისობის გზა		საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	გვ. 178-182
2	მარინე მესხიას	სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებისა და ბერლინის ტრაქტატის მნიშვნელობა საქართველოსათვის ქართული პრესის მასალების მიხედვით, 1914- 2014პირველი და მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია, საერთაშორისო სიმპოზიუმების სამეცნიერო შრომების კრებული		სტუ-	გვ.73-76
3					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მარინე მესხია	თბილისისა და ევროპის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობებიXVII-XVIII	სტუ,VI საერთაშორისო სიმპოზიუმი ,საქართველოს არჩევანი, 23-24ივნისი,2017

		სს.	
2	მარინე მესხია	თეკლა ბაგრატიონი და 1832 წლის შეთქმულება	სტუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „მსოფლიო და გენდერი“, ნოემბერი ,2017
3	მარინე მესხია	სამხრეთ კავკასიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობები XVI-XVIIIსს.	სტუ, მე-11 ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ ხელისუფლებ და საზოგადოება“-2017, ნოემბერი

II. 1. პუბლიკაციები
ა) საქართველოში

მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	ნათელა ჯორჯიკია	საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიიდან (XX საუკუნის 40 იანი წლები და 50 იანი წლების დასაწყისი)	თბილისი საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	135
ნაშრომში განხილულია საქართველოს XX საუკუნის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდის 40 იანი წლებისა და 50 იანი წლების დასაწყისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, რაც ჯერ მსოფლიო ომის მკაცრი საჭიროებით, შემდეგ „ცივი ომის“ დაწყებიდან გამომდინარე გარემოებებით იყო განპირობებული. ახალი საარქივო მასალის გამოყენების საფუძველზე ნაშრომში ნაჩვენებია მრავალი ნაკლებად ცნობილი მოვლენა და ფაქტი. მაგ. როგორიცაა კოლმეურნე გლეხობის გადასახლება, აფხაზეთში სამეცნიერო საკითხებთან დაკავშირებით წამოჭრილი დავა, საგარეო საქმეთა სამინისტროს შექმნა და სხვ. ახალი საარქივო მასალით არის გამდიდრებული მეტ-ნაკლებად ცნობილი საკითხები, როგორიცაა მაგ. საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების მცდელობა, მეგრელთა საქმე და სხვ. ნაშრომში გამოთქმული არაერთი ავტორისეული დებულება, კრიტიკული აზრი თუ დასკვნა ახლებურად წარმოაჩენს ეპოქის ისტორიულ ეპიზოდებსა და პროცესებს.				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	ნათელა ჯორჯიკია	საქართველოს კულტურული ცხოვრება XIX საუკუნიდან ჩვენს დღეებამდე	თბილისი საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	144

ნაშრომში თავმოყრილია XIX- XX საუკუნეების ქართული კულტურის ყველა ასპექტი. საკითხები თავისი სპეციფიკის მიხედვითაა განხილული და სხვა ქვეყნების იდენტური სფეროს მახასიათებლებთანაა ზოგადად შედარებული.

ნაშრომი მოიცავს მეტად მნიშვნელოვან ფაქტებს და მოვლენებს ჩვენს ქვეყანაში საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ლიტერატურული, თეატრალური, მუსიკალური, არქიტექტურული და სხვა პროცესების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა წყაროებით მოწმდება.

ნაშრომი არქეოლოგიის სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოდ არის განკუთვნილი.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1		ივანე ჯავახიშ ვილი და საქარ თველოშო სოციალური ბრძოლის ისტორიის საკითხები	ივანე ჯავახიშვილი, მარადისობის გზა,	თბილისი საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	3

სტატიაში განხილულია ივანე ჯავახიშვილის მიერ 1906 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებული ნარკვევი - „პოლიტიკური და სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში XIX საუკუნეში“. ეს იყო პირველი მეცნიერული ნაშრომი აღნიშნული პრობლემის გარშემო. ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა ივანე ჯავახიშვილის მიერ ამ ნაშრომში წამოყენებული დებულების სამართლიანობა, რომ

თანადროულ ანტისამთავრობო მოძრაობას ქართველი ხალხის ფსიქიკასა და ცხოვრებაში ღრმად ჰქონდა ფესვები გამდგარი. საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მიმართ უკიდურესად არალიბერალურმა მიდგომამ თანდათან სრულიად უპერსპექტივო გახადა რაიმე სახის ოპოზიციური საქმიანობა. მიუხედავად ამისა ადამიანები მცირედი წინააღმდეგობის გაწევას მაინც ახერხებდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ანტირელიგიური პროპაგანდის საპასუხოდ ხდებოდა. ე. წ. „მებრძოლ-უღმერთოთა კავშირის“ მესვეურთა მიიერ 1937-1938 წ ლებში შედგენილი დოკუმენტების საფუძველზე ნაჩვენებია ანტირელიგიური პროპაგანდის საწინააღმდეგო ეპიზოდები საქართველოში. ნათქვამია, რომ ისინი ქართველი ხალხის მრწამსის, ეროვნულ-დემოკრატიული ტრადიციებისადმი პატივისცემით იყო განპირობებული.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნათელა ჯორჯიკია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ისტორიიდან	ტექნიკური უნივერსიტეტი საერთაშორისო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“